ქ. თბილისი
დ. აღმაშენებლის N55
ს/კ 01.16.05.014.002.01.592
ს/კ 01.16.05.014.002.01.593

შპს „კაფკა“-სა და
ს/ს „სტომატოლოგი“-ს
კუთვნილ ვიტრაჟებში
სავენტილაციო ღიობების
და შპს „კაფკა“-ს კარების
მოწყობის და ესკიზი

სამშენებლო გენგეგმა



განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია შემოკლებულ ვარიანტში

2. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება სამშენებლო ნორმებისა და წესების СНиП-1,04,03-85 მიხედვით T=10 დღე სადაც ორი დღე მოსამზადებელი პერიოდია. სეისმური კოეფიციენტის მიხედვით T=10X1.15=12 დღეს

3. მოსამზადებელ პერიოდში უნდა განხორციელდეს შემდეგი სამუშაოები: წინასწარ აღებული ზომების (პროექტის შესაბამისად) მიხედვით დამზადებული კარებისა და ფანჯრების მოზიდვა; ში არსებული მინების ამოღენა და ღიობების ზედაპირების მომზადება კარფანჯრის ჩასასმელად; სამონტაჟო სივრციდან არსებული ნახერხის გატანა.

4. სამშენებლო მასალების მოზიდვის პერიოდში, სავალდებულოა მისასვლელი შემოიღობოს დროებითი შემზღუდავი ლენტით, სამონტაჟო კარფანჯარა დასაწყობებული იქნას შენობის შიდა სივრცეში.
სამონტაჟო სამუშაოებს აუცილებლად უნდა ესწრებოდეს პასუხისმგებელი პირი ფეხმავალთა უსაფრთხოებისათვის

5. მშენებლობის ორგანიზაციის პერიოდში მომუშავეთა შორის უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურების საკითხებზე მთავარ წყაროდ წარმოდგენილია სამშენებლო ნორმების საქართველოს მთავრობის N41 დადგენილების პუნქტი N20-ის მიხედვით

1. საპროექტო შენობა — საპროექტო შენობა
2. ლენტი — შემზღუდავი ლენტი

პოზიცია	ხელმოწერა		გვარი
არქიტექტორი			გ. ხელაძე
დამკვეთი			მ. კერვალიშვილი
ფორმატი A-4	ფურცელი 1	რაოდენობა 3	თარიღი 13.06.2020

მშენებლობის წარმოების წესები და მეთოდები

1. მშენებლობის ორგანიზაცია და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით. 1987 წ. მშენებლობის სამინისტრომ ქართულ ენაზე გამოსცა „კრებული სამახსოვრო“ სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები – ამონაკრები მოქმედი ნორმატიული დოკუმენტიდან. მათი ნაწილი (ტირაჟიდან შემორჩენილი) სამინისტროს შ.პ.ს. „მშენაღდგენა“-ში და დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

2. ქვემოთ ჩამოთვლილია მოქმედი ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს ორგანიზაციებმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს.

- სნ და წ 111-33-79 „ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები“;
- სნ და წ 111-10-78 „ტერიტორიის კეთილმოწყობა“;
- სწ და ნ 111-4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა“-ში სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;
- სნ და წ 1.06.05-85 „მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა“;
- ინსტრუქცია „მშენებლობის დამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება“;

3. მშენებლობა აუცილებელია წარიმართოს დამტკიცებული პროექტის სრული შესაბამისობით. მშენებლობის პროცესში ობიექტური მიზეზებით ნახაზში ცვლილებების შემთხვევაში დაბაწყვეტილებები უნდა შეთანხმდეს ავტორებთან მათგან ოფიციალური ნებართვის გაცემითა და ახალი ნახაზების გამოშვებით.

4. მშენებლობა ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშფარული სამუშოების მიღება ავტორების კონტროლის ქვეშ დადგენილი წესებით აუცილებელია.

მშენებლობის წარმოების უსაფრთხოების წესების თაობაზე

მომუშავეთა შორის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე თანახმად სნ და წ 11-4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“ და სხვა ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

1.სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგი-ურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცივისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

2. ადვილად აალებადი სამღებრო და სხვა მასალების, ან ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით; ასევე ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ არ მოხდეს მათი მოცურება.

3. ელექტროუსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახსტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა უნდა იყოს ყოველთვის ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და ელექტრომოწყობილებები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

4. მობილური საავტომობილო და მუხლუხა ამწეების, ბეტონოდამჭიდნი მექანიზმებისა და სხვა ტვირთამწე მექანიზმების მუშაობის პერიოდში იკრძალება სამუშაო ოპერაციებში დაუსაქმებლ მუშამოსამსახურეთა და უცხო პირთა სამშენებლო მოედანზე და განსაკუთრებით მათი მოქმედების სახიფათო ზონების არეალში ყოფნა.

მშენებლობის საინჟინრო მომზადება

1. ჩვენს მიერ შედგენილი მოპ-ი ითვალისწინებს სნ და წ 3.01-01-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“ მოთხოვნილებებს მშენებლობაზე ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით.

2. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება პროექტირებაზე;
- პროექტით მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტილებები;
- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;
- გეოდეზიური გეგმები და პროფილები;
- საინჟინრო-გეოლოგიური და გამოკვლევების მონაცემები;
- ობიექტის ნატურაში დათვალიერება;

3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისად. ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალი მოცემულია ნახაზზე მოპ-1.

4. მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობით.

5. მშენებლობის დაწყება დაიშვება მშენარქინსპექციიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. აუცილებელია სამშენებლო მოედნის შემოკავება დროებითი ხის ან მავთულბადოვანი ღობით.

6. მშენებლობის უზრუნველყოფა ელექტრო ენერგიითა და წყლით უნდა მოხდეს საქალაქო ქსელებიდან.

7. მშენებლობა ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ. დახურული სამუშაოების მიღება ავტორების კონტროლის ქვეშ დადგენილი წესით აუცილებელია.

ქ. თბილისი
დ. აღმაშენებლის N55
ს/კ 01.16.05.014.002.01.592
ს/კ 01.16.05.014.002.01.593

შპს „კაფკა“-სა და ს/ს „სტომატოლოგი“-ს კუთვნილ ვიტრაჟებში სავენტილაციო ღიობების და შპს „კაფკა“-ს კარების მოწყობის და ესკიზი

მშენებლობის წარმოების, უსაფრთხოებისა და საინჟინრო მომზადების წესები

პოზიცია	ხელმოწერა	გვარი
არქიტექტორი		ბ. ხელაძე
დამკვეთი		მ. კერვალიშვილი

ფორმატი A-4	ფურცელი 2	რაოდენობა 3	თარიღი 13.06.2020

მშენებლობის კალენდარული გრაფიკი

№	სამუშაოთა ჩამონათვალი	დღე	12 დღე											
			I დღე	II დღე	III დღე	IV დღე	V დღე	VI დღე	VII დღე	VIII დღე	IX დღე	X დღე	XI დღე	XII დღე
I	მშენებლობის პირველი რიგი													
	მოსამზადებელი სამუშაოების პერიოდი													
1ტ.	მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო სივრცეში წინასწარ დამზადებული კარებისა და ფანჯრების მოზიდვა და დასაწყობება;	2												
2ტ.	ფეხით სავალი ნაწილის შემომზღუდავი ლენტით იზოლირება სამუშაო სივრცისაგან;	1												
II	მშენებლობის მეორე რიგი													
	ძირითადი სამუშაოების პერიოდი													
1ტ.	ვიტრაჟებიდან მინების ამოღება; არსებული ჩარჩოების დამუშავება და კარფანჯრისა და დასამონტაჟებლად გამზადება;	4												
2ტ.	კარფანჯრის მონტაჟი;	6												
3ტ.	ტერიტორიის დასასუფთავებლად და მინების გარეცხვა;	1												

ქ. თბილისი
დ. ალმაშენებლის N55
ს/კ 01.16.05.014.002.01.592
ს/კ 01.16.05.014.002.01.593

შპს „კაფკა“-სა და
ს/ს „სტომატოლოგი“-ს
კუთვნილ ვიტრაჟებში
სავენტილაციო ღიობების
და შპს „კაფკა“-ს კარების
მოწყობის და ესკიზი

კალენდარული
გრაფიკი

პოზიცია	ხელმოწერა	გვარი		
არქიტექტორი		გ. ხელაძე		
დამკვეთი		მ. კერვალიშვილი		
ფორმატი A-4	ფურცელი 3	რაოდენობა 3	თარიღი 13.06.2020	